

სულიკო

საყვარლის საფლავს ვეძებდი,
ვრე ვნახე... დაკარგულიყო!...
გულამოსკვნილი ვჩიოდი:
ნსადა ხარ, ჩემო სულიკო?!ნ

ეკალში ვარდი შევნიშნე,
ობლად რომ ამოსულიყო;
გულის ფანცქალით ვკითხავდი:
ნშენ ხომ არა ხარ სულიკო?!ნ

ნიშნად თანხმობის კოკობი
შეირხა... თავი დახარა,
ცვარ-მარგალიტი ციური
დაბლა ცრემლებად დაჰყარა.

სულგანაბული ბულბული
ფოთლებში მიმალულიყო;
მივეხმატკბილე ჩიტუნას:
ნშენ ხომარა ხარ სულიკო?!ნ

შეიფთრქიალა მგოსანმა,
ყვავილს ნისკარტი შეახო,
ჩაიკვნეს-ჩაიჭიკჭიკა,
თითქოს სთქვა: ნდიახ, დიახო!ნ

დაგვეტყათებდა ვარსკვლავი,
სხივები გადმოსულიყო;
მას შევეკითხე შეფრქვევით:
ნშენ ხომ არა ხარ სულიკო?!ნ

დასტური მომცა ციმციმით.
სხივები გადმომაცარა
და იმ დროს ყურში ჩურჩულით
ნიაემაც ასე მახარა:

ნეგ არის, რასაც ეძებდი,
მორჩი და მოისვენეო!
დღე დაიღამე აწ ტკბილად
და ღამე გაითენეო!

სამად გაშლილა ის ერთი:
ვარსკვლავად, ბულბულ-ვარდადო,

თქვენ ერთმანეთი რადგანაც
ამ ქვეყნად შეგიყვარდათო!.

მეიშნა.. აღარ დავეძებ
საყვარლის კუბო-სამარეს,
აღარც შევჩივი ქვეყანას,
აღარ ვღვრი ცრემლებს მდულარეს!

ბულბულს ყურს ვუგდებ, ვარდს ვყნოსავ,
ვარსკვლავს შევყურებ ლხენითა,
და რასაცა ვგრძნობ მე იმ დროს,
ვერ გამოძითქვამს ენითა!

ისევ გვმეხსნა სიცოცხლე,
დღემდი რომ მწარედ კრულ იყო,
ახლა კი ვიცი, სადაც ხარ,
სამგან გაქვს ბინა, სულიკო!...

1895 წ.